

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს მიხედვით: 0831 – “მეთევზეობა”; 0841 – “ვეტერინარია”; 0849 – “ვეტერინარია – არაკლასიფიცირებული”; 0811 – “მემცენარეობა და მეცხოველეობა”; 0511 – “ბიოლოგია”, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე <https://gtu.ge/apply/masters.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის შემდეგ, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა.

აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში.

პროგრამის მიზანია:

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მეცხოველეობის დარგის სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალი კვალიფიკაციის და კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის მაგისტრი. სტუდენტს შეასწავლოს:

- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების, საკვების გადამამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზები, ახალი კომბინირებული საკვების რეცეპტის გამოყენება სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად და პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.
- ახალი მეთოდოლოგიების გამოყენება გამოყვანილი ჯიშების დასამკვიდრებლად, ასევე მეცხოველეობაში ხელოვნური დათესვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც მეცხოველეობას უფრო მომგებიანს და რენტაბელურს გახდის.
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფერმების დაგეგმარება, ზოოჰიგიენური პრამეტრების დაცვა ეს კი ხელს შეუწყობს ცხოველთა პროდუქტიულობის გაზრდას, მათ მოვლა-დაცვას და უზრუნვეყოფს მეცხოველეობის დარგის გამართულ მუშაობას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. გააჩნია მეცხოველეობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს მეცხოველეობის ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის;
2. აფასებს დარგში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს;
3. შეუძლია მულტიდისციპლინურ გარემოში მეცხოველეობაში არსებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
4. დამოუკიდებლად ახორციელებს როგორც სასოფლო-სამეურნეო ცხოველების კვების, ასევე საკვების გადამამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, ახალი

კომბინირებული საკვების რეცეპტის გამოყენებას სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად და შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად;

5. იყენებს ახალ მეთოდოლოგიებს გამოყვანილი ჯიშების დასამკვიდრებლად, ასევე მეცხოველეობაში ხელოვნური დათესვის თანამედროვე მეთოდებს, რაც მეცხოველეობას უფრო მომგებიანს და რენტაბელურს გახდის;
6. ახდენს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფერმების დაგეგმარებას, ზოოჰიგიენური პრამეტრების დაცვას;
7. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მეცხოველეობის სფეროს წინააღმდეგობრივ არასტანდარტულ სიტუაციებთან დაკავშირებით დამოუკიდებლად ღებულობს წამოჭრილი რისკების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს;
8. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მეცხოველეობის სფეროში პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს დასაბუთებულ დასკვნებს და აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აყალიბებს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს.
9. დამოუკიდებლად აფასებს რა საკუთარი სწავლის პროცესს, გეგმავს სწავლის გაგრძელების შემდგომ საჭიროებას და წარმართავს მას.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.

დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენა, საჯარო დაცვა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით. შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ, დანართი 2

<https://gtu.ge/pdf/forms-instructions/educational-process.pdf>

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით

<https://gtu.ge/apply/masters.php>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://gtu.ge/pdf/forms-instructions/educational-process.pdf>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/pdf/forms-instructions/educational-process.pdf>

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/apply/masters.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

| № | სასწავლო კურსი | კრედიტი |
|-----|---|---------|
| 1 | მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებების კლასიფიკაცია, ტექნოლოგია-თანამედროვე ინოვაციებით | 5 |
| 2 | სახორცე და მერძეული ძროხის მოშენება, კვება, ხორცის წარმოება და რძის პირველადი გადამუშავება | 6 |
| 3 | აკადემიური წერა | 5 |
| 4 | სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები | |
| 4.1 | მეცხოველეობა და პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები | 5 |
| 4.2 | ინტენსიური მიწადმოქმედება | |
| 4.3 | მინდვრის კულტურების ეკოლოგიური და ჯიშური აგროტექნილოგია | |
| 4.4 | ნიადაგის ნაყოფიერების მართვა | |
| 5 | ცხვრის მოშენება, კვება ხორცის, მატყლის და რძის პირველადი გადამუშავება | 5 |
| 6 | ეგზოტიკური ცხოველების და ფრინველების მოვლა-მოშენება და კვება | 4 |
| 7 | ღორის მოშენება, კვება და ხორცის წარმოება - პირველადი გადამუშავება | 5 |
| 8 | ფრინველის მოშენება, კვება, კვერცხის, ხორცის წარმოება და პირველადი დამუშავება. | 6 |

| | | |
|------|--|---|
| 9 | ბოცვრის მოშენება, კვება. ხორცის წარმოება ტყავ-ბეწვეულის მიღება და პირველადი გადამამუშავება | 4 |
| 10 | საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 1 | 5 |
| 11 | კომპანიონ ცხოველების მოვლა შენახვა და თანამედროვე საკვები საშუალებების გამოყენების ტექნიკა | |
| 12 | თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები | |
| 12.1 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური) | 5 |
| 12.2 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული) | |
| 12.3 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული) | |
| 12.4 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა) | |
| 12.5 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) | |
| 12.6 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) | |
| 12.7 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) | |
| 12.8 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული) | |
| 13 | ცხოველური წარმოშობის საკვებში მიკრობიოლოგიური პროცესები | 5 |
| 14 | ფუტკრის პროდუქტების წარმოება და პირველადი გადამამუშავება | 5 |
| 15 | საწარმოო პრაქტიკა მეცხოველეობაში 2 | 5 |
| | კვლევითი კომპონენტი | |